<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩის სახელდების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს მამია გურიელის სახელი, ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=478353 Y=4619842
X=478528 Y=4619768
II შეს.
მამია გურიელის ქ.
X=478440 Y=4619687
I შეს.
X=478601 Y=4619649
X=478451 Y=4619609
X=478454 Y=4619584
1:2,000

19/032000231 42-03

ქალაქ თბილისის საკრებულოს

სახელდებისა და სიმობილიკის კომისიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი" ს (ს/კ 204513687) საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.389 და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა), რომლის ნაწილიც (ჯამში 1137 კვ.მ) დატვირთული იყო სერვიტუტის უფლებით მოსარგებლის/მოსარგებლეების სასარგებლოდ. ვინაიდან, ჩვენ გვსურდა სერვიტუტით დატვირთული მიწის მონაკვეთის საკუთარი სამეურნეო/სამეწარმეო მიზნით გამოყენება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით შევცვალეთ რეგისტრირებული სერვიტუტის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის ნაწილის კონფიგურაცია, იმგვარად რომ მოსარგებლეს არ გაუარესებოდა სერვიტუტით სარგებლობის შესაძლებლობა. (დანართი N1: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება N882020046617-03) (22.01.2020). გზის ადგილმდებარეობა შევცვალეთ დანართი N2-ით გათვალისწინებული სიტუაციური ნახაზის მიხედვით.

შესაბამისად, ჩვენს საკუთრებაში არსებული უძრავ ქონების ნაწილს, რომელიც სერვიტუტით იყო დატვირთული აღარ უნდა ჰქონდეს გზის სტატუსი, რადგან სერვიტუტით დატვირთული გზის ადგილმდებაორება შეიცვალა, შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით, იქვენი კომპეტენციის ფარგლებში იმოქმედოთ შესაბამისად და სახელდება მოუხსნათ გზას.

იქიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის 22 იანვარს განახლდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ამონაწერი და საკადასტრო გეგმა, ტექნიკური გაუმართაობის გამო, მოკლებული ვართ შესაძლებლობას განცხადებასთან ერთად წარვადგინოთ განახლებული ამონაწერი და საკადასტრო გეგმა.

განცხადებას თან ვურთავ CD დისკზე არსებულ დოკუმენტებს, რომლებიც წარვადგინეთ საჯარო რეესტრში სერვიტუტის უფლების ცვლილების რეგისტრაციასთან დაკავშირებით და რომლებიც დაგეხმარებათ საქმის მასალებში გასარკვევად.

განმცხადებელი:

შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი"-ს მინდობილი პირი

სალომე კაპანაძე პ/ნ 47001036951

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მომმართოთ: 571 12 29 79

დანართი N1: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება N882020046617-03) (22.01.2020)

დანართი N2: სიტუაცირუი ნახაზი;

დანართი N3: მინდობილობა;

დანართი N4: CD დისკის სახით.

ხელმოწერა:

თარიღი: 23/01/2020

დანართი №1

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება N 882020046617-03 (22.01.2020)

რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (No.882020046617; 22 იან 2020. განმცხადებელი: შპს ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი , ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/298). განცხადებით მოთხოვნილია სერვიტუტის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე , მდებარე ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/298 (ზონა:თბილისი, სექტორი: ვაკე)

განცხადებაზე თანდართულია:

1. სერვიტუტის უფლების ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი
2. აზომვითი ნახაზი და ელ.ვერსია

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს "ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 204513687) დირექტორი, დავით რამინიშვილი (პირადი №01008013758; შემდგომში "მიმნდობი") უფლებამოსილებას ხალიომე კობანაძეს (პირადი №47001036951; შემდგომში "მინდობილი"), "მიმნდობის" სახელით განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედებები:

1. წარმოადგინოს მიმნდობი ქალაქ თბილისის საკრებულოში, მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ კომისიაში, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მერიის ნებისმიერ საქალაქო სამსახურში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში და მიმნდობის სახელით შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა/დოკუმენტი/მოწმობა, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტაციას/გადაწყვეტილებებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან. ასევე განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ზემოთხსენებული მიზნების სრულფასოვნად განხორციელებისთვის;
2. მინდობილი ვალდებულია მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს პირადად და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, განაცხადს, დოკუმენტს, ხელშეკრულებას, განცხადებას, შეთანხმებას, რაც საჭირო იქნება აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან;
3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილით გათვალისწინებული დავალების შესრულებისთვის.
4. მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 23 თებერვლის ჩათვლით;

შპს "ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი"-ს დირექტორი

დავით რამინიშვილი _____

204513687

შპს MAGNITUDE

მისამართი: სასამართლოს ქ. N 2 ა
III სად, I სართული ტელ: 2934017

სიტუაციური ნახაზი

დანართი №2



01.14.15.001.389

ძ ი რ ი თ ა დ ი   ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **3/4916343**
თარიღი: **06/03/2020**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტის" წარმომადგენლის სალომე კაპანაძის 2020 წლის 23 იანვრის საქმე #19/0320023142-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩის გავრცელების არეალის ცვლილებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ მამია გურიელის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სსიპ ურბანული განვითარების სამსახური

წერილის ნომერი: **67-0120150508**
თარიღი: **29/05/2020**
პინი: **3054**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 03.04.2020 წლის #03-032009446 (06.04.2020წ. #14-01200942014-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი